29 ნოემბერს ჩატარდება მათემატიკის ოლიმპიადის I უფასო ტური

აუცილებლად გელოდებით!

მათემატიკის ოლიმპიადა

მე-6 კლასი (I ტური, შემოდგომა, 2025)

ძირითადი დავალებები (თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია):

1) რამდენი საათია 1 დღეში?

A) 24 B) 1440 C) 60

2) რომელია მეტი, 55+44 თუ 100-2?

A) 55+44 B) 100-2 C) ამის გაგება შეუძლებელია

3) რომელია მეტი, 1/3 თუ 3/9?

A) 1/3 B) 3/9 C) ტოლებია

4) ამოხსენით განტოლება: x+56=63

A) 6 B) 19 C) 7

5) რომელია უდიდესი ორნიშნა რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 14-ზე?

A) 112 B) 98 C) 84

ალტას სახელობის შეკითხვა

6) რომელია ისეთი უმცირესი სამნიშნა რიცხვი, რომლის 3-ვე ციფრი ერთნაირია?

A) 333 B) 111 C) ასეთი რიცხვი არ არსებობს

7) რომელია მეტი: უმცირეს 3-ნიშნა რიცხვს დამატებული უმცირესი 1-ნიშნა რიცხვი, თუ უდიდესი 2-ნიშნა რიცხვი?

A) უდიდესი 2-ნიშნა რიცხვი B) უმცირეს 3-ნიშნა რიცხვს დამატებული უმცირესი 1-ნიშნა რიცხვი

C) ტოლებია


8) შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ თუ რიცხვი იყოფა რვაზე, ესე იგი ის აუცილებლად გაიყოფა ორზეც?

A) კი B) არა C) ამის გაგება შეუძლებელია

9) მაქსიმუმ რამდენი მახვილი კუთხე შეიძლება ჰქონდეს სამკუთხედს?

A) 1 B) 3 C) 2

10) რას მივიღებთ, თუ ამ მრავალკუთხედის გვერდების რაოდენობას დავუმატებთ მის კუთხეების რაოდენობას?



A) 6 B) 8 C) 10

100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 3 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

<u>ბონუს ბლოკი Tether -ისგან</u>

USD₮ ციფრული ფულია. 1USD₮ ყოველთვის 1$-ია.

1. მაღაზიაში რვეული ღირს 1.50 USD₮. შენ გინდა 2 რვეულის ყიდვა. რამდენი უნდა გადაიხადო?
A) 2 USD₮ B) 3 USD₮ C) 4 USD₮

2. ლუკას აქვს 10.5 USD₮. მას სურს იყიდოს აპლიკაცია, რომელიც ღირს 10.2 USD₮. ეყოფა თუ არა თანხა?
A) კი, და დარჩება 0.3 USD₮ B) არა, დააკლდება C) ვერ დავადგენთ

3. შენ გაქვს 100 USD₮. გინდა მეგობარს ასესხო შენი თანხის ნახევარი. რამდენი უნდა გადაურიცხო?
A) 10 USD₮ B) 50 USD₮ C) 25 USD₮

4.

5. ზრდა-განვითარებისთვის ცილა აუცილებელია. თუ „ლოკო მოკოს“ 2 ბოთლი ჯამურად 14 გრამ ცილას შეიცავს, რამდენი გრამი ცილა იქნება 6 ასეთ ბოთლში?

A. 28 გრამი B. 36 გრამი C. 42 გრამი